სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/62

23 ივნისი 2021 წ.

ქ. თბილისი

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხის, შრომის ანაზღაურების ოდენობის, პირობებისა და დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ" და „რ" ქვეპუნქტების შესაბამისად, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ბატონი კარლო კოპალიანის, 2021 წლის 22 ივნისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კარლო კოპალიანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, დავით მახვილაძის და სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის მიერ წარმოდგენილი პროექტი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხის, შრომის ანაზღაურების ოდენობის, პირობებისა და დატვირთვის ზღვრული

ოდენობის თაობაზე (დანართი) და დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

2. დაევალოთ უნივერსიტეტის სწავლებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტებს, აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით, შესაბამისი პროექტების მომზადება.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**